



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს,
ბატონ მიხეილ ჩხენკელს

რეკომენდაცია
საგან 'მოქალაქეობა'-ს ცალკეული გრიფინიჭებული მოსწავლის წიგნის შინაარსის
შესწავლის თაობაზე

*(შემუშავებულია და გეგ ზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“
საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად)*

ბატონო მიხეილ,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა გამომცემლობა „სიდი“-სა და „კლიო“-ს მიერ გამოცემული VII კლასისთვის განკუთვნილი მოსწავლის წიგნები საგანში „მოქალაქეობა“.¹

სახალხო დამცველის აპარატის მიერ პროაქტიულად, საქმის გარემოებათა სრულყოფილად შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა, რომ ზემოაღნიშნულ სახელმძღვანელოებში არსებული ჩანაწერები არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა განმარტების ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს. ამდენად, ხელყოფს ადამიანის უფლებების შესახებ განათლების სახელმძღვანელო პრინციპებს და ვერ უზრუნველყოფს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების სრულყოფილ მიღწევას.

ფაქტობრივი გარემოებები

ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად: „საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნების სწავლებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეებში სამოქალაქო ღირებულებების გამომუშავებისთვის.“² აღნიშნულ სულისკვეთებას განსაკუთრებით ეხმიანება საგან „მოქალაქეობა“-ს საგნობრივი პროგრამა, რომლის ერთ-

¹ ტალახაძე ნ. მოსახლიშვილი ლ. „მოქალაქეობა VII კლასი, მოსწავლის წიგნი „გამომცემლობა „სიდი“, თბილისი 2019; გოგალაძე მ. სიმსივეს ე. ჯინჭარაძე მ. „მოქალაქეობა“, VII კლასი, მოსწავლის წიგნი“ გამომცემლობა „კლიო“ თბილისი 2019; ნინო ტალახაძე, ნინო კაპანაძე, გულნაზი ერქომაიშვილი, მზიური შავაძე, ეკა მურუსიძე „მოქალაქეობა“ IX კლასი მოსწავლის წიგნი გამომცემლობა 'სიდი' თბილისი 2021.

² „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის 49-ე მუხლის მეორე პუნქტი.

ერთი ამოცანაც მოსწავლეში ადამიანის ძირითად უფლებებთან თავსებადი ღირებულებების გამომუშავებაა.³

ამასთან, საგულისხმოა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგანში გრიფინიჭებული სახელმძღვანელოების არსებობისას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, აღნიშნული საგანმანათლებლო რესურსით ისარგებლოს.⁴

ამ ჭრილში ხაზგასასმელია ისიც, რომ გამომცემლობა „სიდი“-სა და „კლიო“-ს მიერ ზემოხსენებული საგნისთვის გამოცემულ VII კლასის მოსწავლის წიგნებს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ [შემდგომში: სამინისტრო] გრიფი 2019 წელს მიანიჭა.⁵ ყველა შესაფასებელი სახელმძღვანელო ფართოდ გამოიყენება ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში.⁶

მნიშვნელოვანია ითქვას, რომ 2019 წლიდან, უწყებათაშორისი თანამშრომლობის საფუძველზე, საქართველოს სახალხო დამცველის მიერ ნომინირებული რეცენზენტები მონაწილეობენ გრიფირებისათვის წარმოდგენილი მასალების შინაარსობრივი რეცენზირების პროცესში. აღნიშნული თანამშრომლობის მიუხედავად, აპარატის მიერ ნომინირებული ექსპერტები არ ყოფილან ჩართულნი შესაფასებელი სახელმძღვანელოების რეცენზირების პროცესში.⁷ სამინისტროს განმარტებით, ეს გადაწყვეტილება საგან „მოქალაქეობა“-ს სპეციფიკითა და მის რეცენზირებაში ჩართული სხვა რეცენზენტების კვალიფიკაციით იყო განპირობებული.⁸

შესაფასებელ წიგნებში მოცემულია შემდეგი განმარტებები:

გამომცემლობა 'სიდი'

„არავინ საუბრობს ახალშობილი ბავშვის პიროვნულობაზე, რადგან პიროვნებად არ იბადებიან, პიროვნებად ყალიბდებიან. პიროვნების ჩამოყალიბებაში უდიდეს როლს ასრულებს გარემო: ოჯახი, სკოლა, თემი“⁹ [შემდგომში: პირველი ჩანაწერი].

³ იქვე, 71-ე მუხლი.

⁴ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი მიღებული 2005 წლის 08 აპრილს, 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი, 2021 წლის 15 დეკემბრის მდგომარეობით.

⁵ „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგიერთი საგნისა და საბაზო საფეხურის VII კლასის სასკოლო სახელმძღვანელოების/სერიების მაკეტებისთვის გრიფის მინიჭების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 21 ივნისის N828 ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი; „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგიერთი საგნის, საბაზო საფეხურის VII და VIII კლასების ზოგიერთი საგნისა და IX კლასის სასკოლო სახელმძღვანელოების/სერიების მაკეტებისათვის გრიფის მინიჭების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილის 2021 წლის 18 ივნისის N598445 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 28 ივნისის MES 5 21 0000634257 ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი.

⁶ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის 2021 წლის 13 დეკემბრის MES 9 21 0001359120 წერილის დანართი.

⁷ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2021 წლის 22 მარტის MES 3 21 0000267398 წერილი.

⁸ იქვე; „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმძღვანელოების/სერიების მაკეტების რეცენზირების პროცესის გაუმჯობესების თაობაზე“ საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 23 სექტემბრის 17-1/9393 წინადადება გვ.2;

⁹ ტალახაძე ნ. მოსახლიშვილი ლ. მოქალაქეობა VII კლასი, მოსწავლის წიგნი გამომცემლობა „სიდი“ თბილისი 2019, გვ. 8.

„ლუდისადმი დამოკიდებულება იწვევს ადამიანის გადაგვარებას, რაც ზოგჯერ შეიძლება ნახოთ ეზოში, სადარბაზოში, ქუჩაში.“¹⁰ [შემდგომში: მეორე ჩანაწერი]

„ოთხი არა ნარკოტიკის წინააღმდეგ - ჩვენს ცხოვრებაში სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს მეგობრების შერჩევის უნარი. პატივი ეცი საკუთარ აზრს და ნუ მოექცევი იმ თანატოლების გავლენის ქვეშ, რომლებიც ნარკოტიკს გთავაზობენ. „არა“ საკუთარ მორიდებულობასა და მერყეობას, როცა ნარკოტიკს გთავაზობენ. სიცოცხლე უფრო ძვირფასია! ნარკომანები ირჩევენ გზას, რომლითაც საკუთარ თავს ყველა ადამიანურ თვისებას ართმევენ.“¹¹ [შემდგომში: მესამე ჩანაწერი]

„ადრეული ქორწინების პრაქტიკა განსხვავდება ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიისა და რეგიონების მიხედვით. მაგალითად, მშობლების იძულებით/გარიგებით ქორწინება უფრო გავრცელებულია რეგიონებში. ზოგ რეგიონში, ქალის განათლება და მისი როლი საზოგადოებაში დაკნინებულია და გოგონები ადრეულ ქორწინებაში ხედავენ ერთადერთ არჩევანს.“¹² [შემდგომში მეოთხე ჩანაწერი]

ირმა უბედური შემთხვევის შედეგად ეტლით სარგებლობს. რამდენიმე წელი მას ქუჩაში გამოსვლაც კი უჭირდა. ადამიანები მის მიმართ არა თანადგომას, არამედ შეცოდებას გამოხატავდნენ. ირმა ახლა პარასპორტის 14 გზის მსოფლიო ჩემპიონია ფარიკაობაში. დღეს ის აღფრთოვანებულ მზერას გრძნობს, რადგან საკუთარი შრომით დაამტკიცა, რომ შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს.¹³ [შემდგომში: მეხუთე ჩანაწერი]

გამომცემლობა 'კლიო'

„ადიქცია დამლუპველი ჩვევებისადმი დამოკიდებულებაა“. ამ დეფინიციის ქვეშაა მოცემულ ქვეთავები: „ინტერნეტის მოხმარება“, „თამბაქოს მოხმარება“, „ალკოჰოლი.“ ხსენებულთა ერთადაა ასევე, ნარკოტიკზე დამოკიდებულებაც და იგი გამოხატულია ტერმინით - „ნარკომანია“¹⁴ [შემდგომში: მეექვსე ჩანაწერი]

სამართლებრივი შეფასება

ზოგადი პრინციპები

ზოგად განათლებაში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნების ფუნდამენტური ნაწილია მოსწავლის ჩამოყალიბება ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულების მქონე თავისუფალ პიროვნებად და ამის მისაღწევად ყველა საჭირო პირობის შექმნა.¹⁵ ამასთან, „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით, სკოლამ მოსწავლეებს ადამიანის უფლებების

¹⁰ იქვე, გვ. 121.

¹¹ იქვე, გვ. 123.

¹² იქვე, გვ. 127.

¹³ იქვე, გვ. 34.

¹⁴ გოგალაძე მ. სიმსივე ე. ჯინჭარაძე მ. „მოქალაქეობა“, VII კლასი, მოსწავლის წიგნი გამომცემლობა „კლიო“ თბილისი 2019 გვ. 79, 81.

¹⁵ ზოგადი განათლების შესახებ „საქართველოს კანონის მესამე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტი.

დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი უნდა გამოუმუშაოს, რომელსაც იგი გამოიყენებს პრაქტიკაში, საკუთარი და სხვათა უფლებების დასაცავად.¹⁶

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „სახელმწიფოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს განათლებული საზოგადოების ჩამოყალიბებას. [განათლება] საზოგადოებაში საღი აზრის დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანესი საფუძველია. ადამიანის უფლებების დაცვის საუკეთესო გარანტიას განათლებული საზოგადოება წარმოადგენს, რომელმაც იცის თავისი უფლებები და მოვალეობები.“¹⁷

ზემოხსენებულთან ერთად, განათლებისადმი ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა გულისხმობს, რომ ყველა საგანმანათლებლო კომპონენტი კურიკულუმის, სასწავლო მასალებისა და მეთოდების ჩათვლით, ადამიანის უფლებების შესახებ სწავლებისაკენ იყოს მიმართული.¹⁸

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, დემოკრატიულ საზოგადოებაში განათლების უფლება სხვა უფლებათა რეალიზების ფუნდამენტია და იმდენად მნიშვნელოვანი როლი აკისრია, რომ მისი შემზღვეველი განმარტება შეუსაბამო იქნება საკუთრივ მუხლის მიზანთან.¹⁹ ამასთან ერთად, სასამართლომ დაამკვიდრა მიდგომა, რომ განათლების უფლება საერთაშორისო სამართალში არსებულ სხვა შესაბამის უფლებათა დაცვის დოკუმენტებთან ჰარმონიაში უნდა იქნეს გაგებული.²⁰

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის განმარტებით: „კონვენციის ღირებულებებზე დაფუძნებული შინაარსი წარმოადგენს ყოველი ბავშვისათვის აუცილებელ ინსტრუმენტს იმისთვის, რომ მან შეძლოს საკუთარი ცხოვრების დაბალანსებულად წარმართვა და თანამედროვე გამოწვევებს გაუმკლავდეს ადამიანს უფლებათა პრინციპებზე დაყრდნობით.“²¹ ხსენებულთან ერთად, კომიტეტის ერთმნიშვნელოვანი პოზიციაა, რომ კონვენციაში განმტკიცებული ბავშვის განათლების მიზნების მიღწევა მოითხოვს სასკოლო სახელმძღვანელოების სისტემურ გადახედვას.²² გაეროს მიერ დადგენილი სტანდარტის შესაბამისად, ეს პროცესი ისე უნდა წარმართოს, რომ შედეგად მიღებული „[...]სასწავლო მასალები შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა პრინციპებს.“²³

სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ დემოკრატიულ ღირებულებებზე აღზრდილი, მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობის პრინციპების მხარდამჭერი, ადამიანის

¹⁶ „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის N84 დადგენილების „თ“ ქვეპუნქტი

¹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის N 2/3/540 გადაწყვეტილება საქმეზე, „რუსეთის მოქალაქეები - ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანა ჟამკოციანი და სომხეთის მოქალაქეები - მილენა ბარსელიანი და ლენა ბარსელიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

¹⁸ „Revised draft plan of action for the first phase (2005-2007) of the World Programme for Human Rights Education“ adopted by UN General Assembly, 02 March 2005, პარა. 17 (a) ქვეპუნქტი.

¹⁹ Guide on Article 2 of Protocol No.1 to the European Convention on Human Rights 31/08/2021, პარა. 8, იხ. <https://bit.ly/3FfMiC1> 27/12/2021

²⁰ იქვე, პარა. 10.

²¹ UN Committee on the Rights of the Child (CRC), General comment No. 1 (2001), Article 29 (1), The aims of education, 17 April 2001, CRC/GC/2001/1, იხ. <https://bit.ly/35oDnM8> 27/12/2021 პარა. 3

²² იქვე, პარა. 18.

²³ Revised draft plan of action for the first phase (2005-2007) of the World Programme for Human Rights Education“ Adopted by UN General Assembly, 02 March 2005 პარაგრაფი 19 (c) პუნქტის (iii) ქვეპუნქტი. იხ. <https://bit.ly/3mlK1MU> 27/12/2021

უფლებათა პატივისცემის სრულფასოვანი უნარის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება, საქართველოს ზოგადი განათლების მთელი სისტემის და არა ექსკლუზიურად რომელიმე საგნის მიზანია. მიუხედავად აღნიშნულისა, საგან „მოქალაქეობა“-ს სასწავლო შინაარსის გათვალისწინებით, ამ პროცესში მისი განსაკუთრებული ღირებულება არ უნდა იქნეს უარყოფილი.

ადამიანის ღირსების დაცვასთან შეუსაბამო ჩანაწერი VII კლასის სახელმძღვანელოში

პირველი ჩანაწერი ახალშობილ ბავშვებს პიროვნულობის არმქონეებად განიხილავს და აზუსტებს, რომ ისინი პიროვნებებად ცხოვრების განმავლობაში, სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენით ყალიბდებიან.²⁴

აღსანიშნავია, სასკოლო სახელმძღვანელოში არსებული ბავშვების პიროვნულობის უარყოფელი ჩანაწერი საქართველოს სახალხო დამცველის შეფასების საგანი ერთხელ უკვე გახდა.²⁵ კერძოდ, 2012 წელს გრიფინიჭებულ 'სამოქალაქო განათლების' მოსწავლის წიგნში მოცემული იყო შემდეგი:

„ვინ არ შეიძლება იყოს პიროვნება? ბავშვი, რომელსაც არ გააჩნია თვითცნობიერება (ვერც აცნობიერებს თავის ინდივიდუალობას)...[იგი] პასუხს არ აგებს თავისი ქმედებისთვის.“²⁶

ამ ჩანაწერის შეფასებისას, გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით, სახალხო დამცველმა მიუთითა, რომ „ადამიანის პიროვნულობა მჭიდრო კავშირშია მის ღირსებასთან. რაიმე ნიშნისა, თუ ინდივიდუალური მახასიათებლის გამო, ადამიანის პიროვნულობის უარყოფა მისი ღირსების შემლახავია.“²⁷

საგულისხმოა, რომ წინამდებარე საქმეში წარმოდგენილ პირველ ჩანაწერში ავტორები პიროვნულობაზე, როგორც მარტოოდენ სოციალურ ფენომენზე მსჯელობენ და მიუთითებენ, რომ ახალშობილი ბავშვი ჯერ არ „შესულა“ სოციალურ გარემოში, სადაც თვისებებს შეიძენდა. ფრაზა ამავე კონტექსტში მიუთითებს ოჯახის, გარემოს, სკოლისა და თემის როლზე.²⁸ ფრაზებს შორის ხსენებული განსხვავებების მიუხედავად, ხაზგასასმელია, რომ ბავშვის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, „მცირე ასაკის ბავშვები ცხოვრების დასაწყისიდან სოციალური აქტორები არიან.“²⁹ კომიტეტი ყურადღებას მათ სხვადასხვა განსაკუთრებულ მახასიათებლებზე ამახვილებს და მიუთითებს, რომ უნდა შეიცვალოს „ტრადიციული რწმენა, რომელიც ადრეულ ბავშვობას წარმოაჩენს უმწიფარი ადამიანის მოზრდილ, ჩამოყალიბებულ ადამიანად ფორმირების პერიოდად, მისი სოციალიზაციის მეშვეობით“³⁰. კონვენცია მოითხოვს, რომ ბავშვები, მცირე ასაკიდანვე, მიიჩნეოდნენ

²⁴ ტალახაძე ნ. მოსახლიშვილი ლ. „მოქალაქეობა VII კლასი,“ მოსწავლის წიგნი გამომცემლობა „სიდი“ თბილისი 2019 გვ.8

²⁵ საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 20 იანვრის N 17-1/617 რეკომენდაცია

²⁶ მეიფარიანი თ. მიქიაშვილი ლ. ჯალაღანია ი. გონაშვილი მ. თოქმაზიშვილი მ. შალვლოხაშვილი დ. დალაქიშვილი რ. „სამოქალაქო განათლება IX კლასი“ გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“ თბილისი 2012 გვ. 33.

²⁷ საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 20 იანვრის N 17-1/617 რეკომენდაცია 5.

²⁸ ტალახაძე ნ. მოსახლიშვილი ლ. მოქალაქეობა VII კლასი, მოსწავლის წიგნი გამომცემლობა „სიდი“ თბილისი 2019 გვ. 8.

²⁹ UN Committee on the Rights of the Child (CRC) General Comment No. 7(2005) Implementing child rights in early childhood, 20 September 2006, CRC/C/GC/7/Rev.1 პარაგრაფი 2(c).

³⁰ იქვე, პარა. 5.

პიროვნებებად და შესაბამისად, უფლებების მქონედ.³¹ ამავე კონტექსტში საგულისხმოა, რომ კომიტეტმა მცირე ასაკის ბავშვების, მათ შორის ჩვილების სოციალური განვითარების სწრაფ ტემპსა და ამ მიმართებით მათ კონკრეტულ საჭიროებებზე გაამახვილა ყურადღება.³²

ხაზგასასმელია ისიც, რომ სახელმძღვანელოს სასწავლო შინაარსი სახელმწიფოს მიერ, განათლების უფლების ფარგლებში, ბავშვის უფლებათა კონვენციით დადგენილი პოზიტიური ვალდებულებების შესრულების საშუალებაა. ამდენად, მისი შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს კონვენციითვე განსაზღვრულ სტანდარტებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახალხო დამცველი განმარტავს, რომ ნებისმიერი ასაკის ბავშვის პიროვნულობაზე მსჯელობა, თუნდაც მხოლოდ მისი სოციალური ასპექტის განხილვის პირობებში, უფლებრივ ჭრილში ზეგავლენის მატარებელია. მოცემულ შემთხვევაში, ავტორთა მხრიდან პიროვნულობის ნეგატიური ფორმულირებების გამოყენება აზიანებს ბავშვის ღირსებას. ამ დასკვნას კიდევ უფრო ამყარებს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში შესაფასებელი წიგნის გავრცელების მასშტაბი.³³

მეორე და მესამე ჩანაწერი ალკოჰოლსა და ნარკოტიკებზე დამოკიდებული პირების აღწერისას მიუთითებს, რომ პირველ მათგანზე დამოკიდებულება „...იწვევს ადამიანის გადაგვარებას, რაც ზოგჯერ შეიძლება ნახოთ ეზოში, სადარბაზოში, ქუჩაში.“³⁴ ნარკოტიკზე დამოკიდებულ პირებთან მიმართებით კი ავტორები მიუთითებენ, რომ „ნარკომანები ირჩევენ გზას, რომლითაც საკუთარ თავს ყველა ადამიანურ თვისებას ართმევენ.“³⁵ საგულისხმოა, რომ ამავე კონტექსტში ავტორები ყურადღებას ამახვილებენ ცხოვრებაში მეგობრების შერჩევის უნარის მნიშვნელობაზე.³⁶

ბავშვის უფლებათა კონვენციის 33-ე მუხლის მიხედვით, „მონაწილე სახელმწიფოები ახორციელებენ ყველა საჭირო ღონისძიებას...[მათ შორის] განათლების სფეროში, რათა დაიცვან ბავშვები ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო მოხმარებისაგან.“³⁷ კონვენციის ამ ნორმაში არსებული პოზიტიური ვალდებულების ფარგლების დასადგენად მნიშვნელოვანია მისი წაკითხვა განათლების უფლების დამდგენ მუხლებთან და ზემოთ მოხმობილ ზოგად პრინციპებთან ერთობლიობაში.³⁸ სახალხო დამცველი განმარტავს, რომ საგანმანათლებლო შინაარსი უნდა ემსახუროდეს კონვენციის 29-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მიზნების მიღწევას და არ უნდა გამოიწვიოს ადამიანის ღირსების შელახვა.

³¹ იქვე.

³² იქვე, პარა. 6(a)

³³ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის 2021 წლის 13 დეკემბრის MES 9 21 0001359120 წერილის დანართი.

³⁴ ტალახაძე ნ. მოსახლიშვილი ლ. მოქალაქეობა VII კლასი, მოსწავლის წიგნი გამომცემლობა „სიდი“ თბილისი 2019, გვ. 121.

³⁵ იქვე, გვ. 123.

³⁶ იქვე.

³⁷ კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, მიღებული 1989 წლის 20 ნოემბერს, საქართველოს მიმართ ძალაშია 1994 წლის 02 ივლისიდან, მუხლი 33.

³⁸ ამ მიმართებით იხ. Concluding observations of the Committee on the Rights of the Child: South Africa CRC/C/15/Add.122 22 February 2000 პარა. 38.

ბავშვის უფლებათა კომიტეტმა დამატებით არაერთხელ განმარტა, რომ ნარკოტიკების მავნე ეფექტთან მიმართებით ბავშვებისათვის მიწოდებული ინფორმაცია „ობიექტური, ზუსტი და სამეცნიერო მტკიცებულებებზე დაყრდნობილი უნდა იყოს.“³⁹ ამასთან, კომიტეტისვე განმარტებით, ნარკოტიკისგან მომდინარე მავნე ეფექტების შემცირების მიდგომები ადამიანის უფლებებს უნდა ეფუძნებოდეს.⁴⁰

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ბავშვის უფლებათა კონვენციის ლოგიკა მიმართულია ადამიანზე ნარკოტიკისა თუ ალკოჰოლის მავნე ეფექტების აღწერაზე ობიექტურობის, სიზუსტისა და სამეცნიერო მტკიცებულებებზე დაფუძნების პრინციპების დაცვით.

ამ კონტექსტში, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მეორე და მესამე ჩანაწერს არ გააჩნია ბავშვის უფლებათა კონვენციასთან თავსებადი საგანმანათლებლო ღირებულება, თუნდაც ნარკოდამოკიდებულებისა და ალკოჰოლზე დამოკიდებულების შემცირების მიზნის ჭრილში. მეტიც, მოცემული ფრაზები ღირსების შემლახავი ლექსიკის გამოყენებით აფასებენ ნარკოდამოკიდებულ და ალკოჰოლზე დამოკიდებულ პირებს. ბუნებრივია, ვინაიდან საქართველოში ცხოვრობენ ახალგაზრდები, მათ შორის ბავშვები, რომლებიც ამ გამოწვევებს ებრძვიან, სასწავლო პროცესში სავალდებულოდ გამოსაყენებელ ტექსტში მსგავსმა დამოკიდებულების გატარებამ შესაძლოა გამოიწვიოს მათი სოციალური გარიყულობა.⁴¹

ამასთან, შესწავლილ მასალებზე დაყრდნობით, სახალხო დამცველი თვლის, რომ ტერმინ „ნარკომანი“-ს ნაცვლად, სასწავლო შინაარსში ნარკოტიკზე დამოკიდებულება ან/და წამლადამოკიდებულება უნდა იქნეს გამოყენებული.⁴² ტერმინთან დაკავშირებული ეს პრობლემა მეექვსე ჩანაწერშიც იკვეთება.

ადრეული/ბავშვთა ქორწინების გავრცელების ახლის პრობლემურობა სახელმძღვანელოში

მეოთხე ჩანაწერში მითითებულია, რომ ადრეული ქორწინების პრაქტიკა განსხვავდება ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიისა და რეგიონების მიხედვით. ავტორები ხაზს უსვამენ, რომ გარიგებით ქორწინება უფრო გავრცელებულია რეგიონებში, რადგან იქ, ქალის განათლება და მისი საზოგადოებრივი როლი დაკნინებულია.⁴³

2017 წელს ამ საკითხის შესწავლის შედეგად გამოქვეყნებულ კომპლექსური ანგარიშის მიხედვით, ეს პრობლემა გავრცელებულია მთელი ქვეყნის მასშტაბით.⁴⁴ ამდენად, მცდარია

³⁹ UN Committee on the Rights of the Child, General comment No. 20 (2016) on the implementation of the rights of the child during adolescence 6 December 2016, CRC/C/GC/20 პარა. 64; Concluding Observations of the Committee on the Rights of the Child, Norway CRC/C/15/Add.263 21 September 2005, პარა.44(a)

⁴⁰ UN Committee on the Rights of the Child, General comment No. 15 (2013) on the right of the child to the enjoyment of the highest attainable standard of health (art.24), 17 April 2013, CRC/C/GC/15, პარა. 65-66

⁴¹ ბესელია ა., გეგენავა ვ., კირთაძე ი., მღებრიშვილი თ., ოთიაშვილი დ., რაზმაძე მ., სტურუა ლ., ქუთელია ლ., ჯავახიშვილი ჯ., ნარკოვიტარება საქართველოში 2018, თბილისი 2019, გვ. 5-7; სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის 2021 წლის 13 დეკემბრის MES 9 21 0001359120 წერილის დანართი.

⁴² მაგალითად იხ. UN Committee on the Rights of the Child, General comment No. 20 (2016) on the implementation of the rights of the child during adolescence 6 December 2016, CRC/C/GC/20, პარა. 64.

⁴³ ტალახაძე ნ. მოსახლიშვილი ლ. მოქალაქეობა VII კლასი, მოსწავლის წიგნი გამომცემლობა „სიდი“ თბილისი 2019, გვ. 127.

⁴⁴ ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინებისა და ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების/კვეთის საზიანო პრაქტიკები საქართველოში საბოლოო ანგარიში 2017, UNICEF 2017, გვ. 33; სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს 2022 წლის 13 იანვრის 07/228 წერილი.

შეხედულება, რომ ადრეული და ბავშვთა ქორწინება მხოლოდ სოფლად, ან ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებშია დამკვიდრებული.⁴⁵ კვლევის მიხედვით, ამგვარი აღქმა შეიძლება გამოწვეული იყოს იმით, რომ ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებში, ძირითად მოსახლეობასთან შედარებით, გოგონების ქორწინების უფრო დაბალი ასაკი სახელდება (მაგ. 13-15 წლები), მაშინ როდესაც ძირითად მოსახლეობაში ეს ასაკი 16-17 წელია.⁴⁶

ამდენად, სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ ეთნიკურ და რელიგიურ ჭრილზე ხაზგასმა, ქვეყნის საერთო კონტექსტის ჩვენების გარეშე, ფაქტობრივად მცდარია და შესაძლოა დისკრიმინაციული შედეგიც ჰქონდეს. საგულისხმოა ისიც, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალის როლის დაკნინებაც მთელი ქვეყნის მასშტაბით მდგარი გამოწვევაა.⁴⁷

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით გამოყენებული ლოზუნგის პრობლემურობა სახელმძღვანელოში

მეხუთე ჩანაწერში ავტორები შშმ პირის ცხოვრების სირთულეებს და ამ პირობებში მისი დიდი წარმატების ისტორიას აღწერენ. აღწერის დასრულების შემდეგ კი ფრაზაში მითითებულია შემდეგი: „დღეს ის აღფრთოვანებულ მზერას გრძნობს, რადგან საკუთარი შრომით დაამტკიცა, რომ შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს.“⁴⁸

ფრაზის ხაზგასმული ნაწილის გონივრული, ყოველმხრივი განმარტებისას შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ავტორი მას არა შეზღუდული შესაძლებლობების არსებობის უარყოფის, არამედ შშმ პირთა მოტივირებისათვის იყენებს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციაში ტერმინი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი“-ს განმარტება ეფუძნება სოციალურ მოდელს.⁴⁹ სამედიცინო მოდელისაგან განსხვავებით, რომელიც შეზღუდულ შესაძლებლობას ინდივიდუალურ, სამედიცინო შემთხვევად განიხილავს რომელიც უნდა განიკურნოს, სოციალურ მოდელი ამ ფენომენის განმარტებისას უმთავრეს აქცენტს გარემოზე აკეთებს.⁵⁰ სხვა სიტყვებით, ამ მოდელის მიხედვით, საზოგადოებაში შეზღუდული შესაძლებლობები სახელმწიფოში არსებული ბარიერებითა და დისკრიმინაციული დამოკიდებულებითაა განპირობებული.⁵¹

ამ კონტექსტში ხაზგასასმელია, რომ სახალხო დამცველი მრავალი წელია საუბრობს ამ პირთა უფლებების სრულფასოვანი რეალიზებისას ინსტიტუციურ, საკანონმდებლო,

⁴⁵ ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინებისა და ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების/კვეთის საზიანო პრაქტიკები საქართველოში საბოლოო ანგარიში 2017, UNICEF 2017, გვ. 33.

⁴⁶ იქვე.

⁴⁷ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ 2020“, გვ. 11; საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2020“, გვ. 185-205.

⁴⁸ ტალახაძე ნ. მოსახლიშვილი ლ. მოქალაქეობა VII კლასი, მოსწავლის წიგნი გამომცემლობა „სიდი“ თბილისი 2019, გვ. 34.

⁴⁹ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, მიღებული 2006 წლის 13 დეკემბერს [საქართველოს მიმართ ძალაშია 2014 წლის 12 აპრილიდან] მუხლი 1.

⁵⁰ Theresia Degener, 'A Human Rights Model of Disability' in A Human Rights Model of Disability Peter Blanck, Eilionóir Flynn (eds) 2016 p.33.

⁵¹ იქვე, p. 32-33

პრაქტიკულ თუ საზოგადოებრივ დონეზე არსებულ არაერთ გადაუჭრელ პრობლემაზე.⁵² ამასთან, “შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ” გაეროს კონვენციის ტექსტის ანალიზი მიუთითებს, რომ უფლებათა სრულფასოვანი რეალიზებისას არსებული დაბრკოლებების გადაჭრის უმთავრესი ფუნქცია სახელმწიფოს და არა კონკრეტულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს ეკისრება.⁵³

ამ პირობებში, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მსგავსი ფრაზის გამოყენება აქცენტს არა გარემოში არსებულ პრობლემებზე, არამედ ინდივიდის, ერთი ადამიანის სიმტკიცეზე აკეთებს, რაც ერთი მხრივ, ეწინააღმდეგება შშმ პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის არსს ხოლო მეორე მხრივ, შესაძლოა შშმ პირთა შორის გაადლიეროს ზეწოლა და აღქმა, რომ ისინი რაიმეს არასაკმარისად აკეთებენ. ეს მაშინ, როდესაც მათ წინაშე მდგარი გამოწვევების გადაჭრას საერთო სახელმწიფოებრივი ძალისხმევა და ინსტიტუციური ჩარევა ესაჭიროება. ამდენად, სახალხო დამცველი თვლის, რომ სასწავლო მასალაში წინადადების “შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს” გამოყენება შშმ პირთათვის დამაზიანებელია.

დასკვნა

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნულ სახელმძღვანელოებში არსებული ჩანაწერები სრულად არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა განმარტების ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს. ამდენად, ვერ უზრუნველყოფს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების სრულყოფილ მიღწევას.

VII კლასის „მოქალაქეობის“ სახელმძღვანელოებში განხილული პრობლემური ჩანაწერები ცხადყოფს, რომ ადამიანის უფლებათა სტანდარტებთან სახელმძღვანელოების შინაარსობრივი თავსებადობის უზრუნველსაყოფად, საჭიროა ადამიანის უფლებათა სპეციალისტების ჩართულობა. შესაბამისად, პრობლემურია ის, რომ საქართველოს სახალხო დამცველის მიერ ნომინირებული „სხვა სპეციალისტები“, რომლებიც მასალას უფლებრივ ჭრილში ფსიქოლოგთან ერთად ამოწმებენ, არ არიან ჩართული სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოების შინაარსობრივი რეცენზირების პროცესში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ

რეკომენდაციით:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- შეიმუშავოთ ადამიანის ძირითად უფლებებთან შესაბამისი განმარტებები და სკოლებს გადასცეთ სათანადო ინსტრუქციები საგან „მოქალაქეობა“-ს სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით, წინამდებარე რეკომენდაციაში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით;

⁵² საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში ‘საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2020’ გვ. 376-393; ‘დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ 2020’ გვ. 18-26

⁵³ იხილეთ გონივრული მისადაგებისა და უნივერსალური დიზაინის ცნებები ზოგადი ვალდებულებების დამდგენ ნორმასთან ერთად. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, მიღებული 2006 წლის 13 დეკემბერს [საქართველოს მიმართ ძალაშია 2014 წლის 12 აპრილიდან] მუხლი 2, მუხლი 4.

- უზრუნველყოთ აპარატის მიერ ნომინირებული რეცენზენტების ჩართვა, საგან „მოქალაქეობა“-ს მასალების შესარჩევად, სამომავლოდ დაგეგმილი გრიფირების ფარგლებში.

გთხოვთ, წინამდებარე რეკომენდაციის განხილვის შედეგების შესახებ მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია



სახალხო დამცველი

